საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები
ВЕРБАЛЬНЫЕ КОММУНИКАТИВНЫЕ ТЕХНОЛОГИИ
VERBAL COMMUNICATION TECHNIQUES

თბილისი *Tbilisi* *Тбилиси*
2012

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები
Материалы международной научной конференции
International Conference Proceedings



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – 3
Вербальные коммуникативные технологии – 3
Verbal Communication Techniques – 3

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები
Материалы международной научной конференции
International Conference Proceedings

III

თბილისი
2012

ქევხიშვილი მ., კამაკამაძე ე., სამხარაძე რ.
თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიები ფიზიკის გაკვეთილზე.....

შაკიაშვილი ე.
არავერბალური კომუნიკაციის კომუნალური ასპექტები .....

Шахбазова Аида Эйбат, Разия Гудрат кызы Балаева
Моделирование системы обучения русскому языку студентов-филологов
в лингвострановедческом аспекте.....

შელეგია მ.
ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია და რეკლამა .....

ჩიკოიძე გ.
სემანტიკური როლების ლექსიკური შევსება .....

ცოტნიაშვილი ზ.
კომუნიკაციის ფუნქციური როლი კონფლიქტის რეგულირებაში.....

ცუცქირიძე მ.
ტექსტი და დისკურსი .....

ხახუტაშვილი ე.
კომუნიკაციური ტექნოლოგიები - საზოგადოების მართვის საშუალებანი.....

ხაზალია ნ.
აღქმის თეორია უცხო ენების სწავლების მეთოდიკის ჭრილში .....

ჯაგოდნიშვილი თ.
ინფორმაციული სისრულისა და სიზუსტის კომუნიკოლოგიური როლი
კულტურათა დიალოგის პროცესში .....

Hayashi Eriko
Communication skill for a Multicultural Society .....

სემანტიკური როლების ლექსიკური შეფასება

გ. ჩიკოიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არჩილ ელიავაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

სემანტიკური როლების (Fillmore 1968) ერთობლიობა განსაზღვრავს გამონათქვამის სტრუქ-ტურას. მისი უპირატესობა ტრადიციულ სინტაქსურ სტრუქტურასთან შედარებით ისაა, რომ მისი შემადგენელი ნაწილები (როლები) უფრო ორიენტირებულია შინაარსზე, ვიდრე სინტაქსი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის მოდელირების კონტექსტში, რადგანაც ენათმეცნი-ერების ეს ახალი მიმართულება ორიენტირებულია სწორედ ენის ძირითადი ფუნქციის, მისი დინამიკის იმიტაციაში, რომლის ამსახველი სქემაა:

შინაარსი↔გამოხატულება.

ენის აქტიურობის ეს ჩვეული სქემა შეიძლება გაფართოვდეს "აზროვნების" კომპონენტით, რომლისთვისაც, ცნობილი გამონათქვამის თანახმად, "ენა წარმოადგენს სხეულს":

აზროვნება ↔ შინაარსი ↔ გამოხატულება

ამ სახით სქემა ნათელყოფს, რომ "შინაარსი" არის თავისებური "შუა ენა" სქემის მარცხენა („აზროვნება") და მარჯვენა („გამოხატულება") წევრს შორის: ერთი მხრივ, "აზროვნება" წარმოქმნის "შინაარსს" და აამოძრავებს მას ენობრივი "გამოხატულებისკენ" (სინთეზური მიმართუ-ლება); მეორე მხრივ, ენობრივი სისტემა ამოიკითხავს "შინაარსს", რომელიც კოდირებულია გამონათქვამის "გამოხატულებაში" და "უგზავნის" მას "აზროვნებას".

თუმცა ეს სურათი რეალობის გარკვეული აბსტრაქციაა: სინამდვილეში ორივე ფუნდამენ-ტური სისტემა (ენა და აზროვნება) მუდმივ და მჭიდრო კონტაქტში, ანუ ინტერაქტიურ რეჟიმში ფუნქციონირებს.

ეს მჭიდრო "თანამშრომლობა" ვლინდება, კერძოდ იმაში, რომ თვით "გამოხატულების" ერთეულები თავიდან მოიცავენ სემანტიკის ნიშნებს მაშინაც კი, როცა მათ არ გააჩნიათ ისეთი ნიშნები, როგორიცაა თანდებულები, ზმნისწინები, ბრუნვის ნიშნები, თავსართები, ნაწილაკები (Чикоидзе 2010).

ამ ერთეულების მთავარი დანიშნულებაა გამონათქვამის კომპონენტებს შორის არსებულ მიმართებათა გამოხატვა, მაგრამ ისინი პარალელურად ამ მიმართებათა გარკვეული სემანტი-კური ნიუანსების დახასიათებასაც იძლევიან.

ამ თვალსაზრისით, სემანტიკური როლები (Fillmore 1968) სემანტიკურ "გამსჭვალულ" დამოკიდებულებას ანიჭებენ უშუალოდ ისეთ "სრულფასოვან" ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა ზმნა და სახელი. სემანტიკური როლების ძირითადი ოთხეული ვლინდება ქართულ გამონათქვამში:

პეტრემ (*CS*) პავლეს (*AG*) ააშენებინა (V) სახლი (*OB*) ივანესთვის (*AD*).

გამონათქვამის ცენტრალურ სტრუქტურაში (Core) სიტუაციაში (ამ შემთხვევაში "შენების" პროცესში) ჩართულია, პირველ რიგში, ის, ვისაც "მიჰყავს" პროცესი, ანუ "აგენსი" (AG), კონკრეტულად - "პავლე" და ის ობიექტი ("სახლი"), რომელზედაც უშუალოდ მიმართულია მისი

მოქმედება (OB). ამის გარდა, გამონათქვამში ექსპლიციტურად მოიხსენიება, ერთი მხრივ, ის, ვინც სავარაუდოდ მისცა გარკვეული სტიმული „პავლეს" „სახლის" ასაშენებლად („პეტრე" - CS) და „ივანე" ვინც გახდა შედეგის („სახლის") მფლობელი ანუ (AD).

მონაწილეთა „ბუნდის" სტრუქტურა ჯაჭვურ ხასიათს (Action chain) ავლენს, რომელშიც თითოეული როლი გარკვეულ გავლენას ახდენს, პირველ რიგში, თავის უშუალო მარჯვენა „მეზობელზე":

$CS \rightarrow AG \rightarrow OB \rightarrow AD$.

ამავე დროს ოთხივე ჩართულია იმ "სცენარის" შესრულებაში, რომელსაც მათ კარნახობს ბირთვი, ანუ V.

მოცემული მაგალითი ამ სტრუქტურის მოდელიზაციის ერთ-ერთი ნიმუშია, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია როგორც დასრულებული გამონათქვამი თავისი ლექსიკური დატვირთვით და გრამატიკული მიმართებების გამოხატვით. სწორედ ასეთი დასრულებული გამონათქვამებ-ის წარმოქმნის პროცესი წარმოადგენს ენის, და შესაბამისად - მისი მოდელის, ფუნქციონირების ერთ-ერთ მიმართულებას, სახელდობრ - სინთეზს.

პროცესის პირველ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ V-ს გამომხატველი ლექსემის არჩევა, რომელიც განსაზღვრავს იმ სიტუაციის ძირითად ხასიათს, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნდა წარმოადგენდეს იმ ცენტრალურ "მოვლენას", რომლის ირგვლივ ჩამოყალიბდება და მოწესრიგდება გამოხატულ გამონათქვამში მოცული მთელი ინფორმაცია.

ეს არჩევანი, ამავე დროს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი ნიშანი, რომელსაც აზროვნება აკეთებს თავისი (შესაძლოა საკმაოდ ბუნდოვანი) ჩანაფიქრის ენობრივი ფორმის მისაცემად, რომელშიც ის გახდება მისაწვდომი სხვა პიროვნების და შესაძლოა მისთვისაც კი.

არჩევანი, ისევე როგორც სინთეზის სხვა ეტაპებზე ლექსიკის არჩევა, დავუკავშიროთ სინონიმური მწკრივების ცნებას (Апресян 1995), ანუ ლექსიკურ ერთეულთა ისეთ სიმრავლეებს, რომლებსაც საერთო სემანტიკური ბირთვი გააჩნია, თუმცა, ამავე დროს, ზოგი განმასხვავებელი ნიუანსიც. მწკრივის ის წევრი, რომელიც მინიმალურად გადაიხრება ამ ბირთვული სემანტი-კისაგან, მიიჩნევა მწკრივი "დომინანტად".

თუკი დავუბრუნდებით ზემოთ მოყვანილ მაგალითს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მის ბირთვულ წევრს (V) ახასიათებს ლექსიკური შევსება.

იმავე პროცესს, ანუ რაღაც "ნედლეული" მასალის გარდაქმნას დასრულებულ "არტეფაქტში" - "შენობაში", ასახავენ ისეთი ზმნებიც, როგორიცაა: **აგება, აღმართვა.**

"შენობისაგან" ამ ზმნებს ის განასხვავებს, რომ ისინი გულისხმობენ უფრო "მსხვილი" "შენობის" შექმნას, რომელსაც, როგორც წესი, გააჩნია უფრო "ამაღლებული" დანიშნულებაც (ტაძარი, პარლამენტი). ამგვარად, ეს სამეული ("შენობის" ჩათვლით) წარმოადგენს სინონიმურ ან უფრო ზუსტად - კვაზი-სინონიმურ მწკრივს, რომლისგანაც მოხდა ერთ-ერთი მისი წევრის, სავარაუდოდ მისი "დომინანტის", "შენება" არჩევა.

ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ შინაარსის პირველწყარო, "აზროვნება", ჯერ ზე-მოხსენებული პროცესის ამსახველ მწკრივს მიმართავს და შემდგომ ამ მწკრივიდან ირჩევს წევრს, რომელიც თავისი დამატებითი ნიშნების მიხედვით უფრო "უხდება", "მიესადაგება" მის განზრახვებს, კერძოდ, საკომუნიკაციო აქტის შემთხვევაში, დიალოგის სიტუაციას.

შემდეგი ნაბიჯი განპირობებულია იმით, რომ სრულ ზმნურ ლექსემას, უმრავლეს შემთხვევაში, შეესაბამება რამდენიმე პარადიგმა, რომლის სემანტიკა ასახავს ერთსა და იმავეს, თუმცა სხვადასხვა ეტაპს განიხილავს, ან ერთსა და იმავეს სხვადასხვა კუთხით უდგება. "რეგულარულად" მიჩნეული ზმნების შემთხვევაში ამ ეტაპებს წარმოადგენს "მოქმედებათა ჯაჭვი" (Action chain):

CAUS → PROC→ RES,

რომლის წევრი-პარადიგმები ფორმდება როგორც კაუზატივი (CAUS), აქტივი (PROC) და პასივი (RES).

პარადიგმების ეს ერთობლიობა (Чикоидзе 2010, Chikoidze 2012)-ში განიხილება როგორც ერთი ლექსემისაგან წარმოქმნილი "სუპერ-პარადიგმა".

CAUS პარადიგმის არჩევამ ზემოთ მოყვანილი მაგალითისთვის განაპირობა ის, რომ სწორედ ამ პარადიგმის კონტექსტში ყველაზე ნათლად ვლინდება ოთხი ძირითადი მონაწილის ოთხივე სემანტიკური როლი: CS, AG, OB, AD.

აღსანიშნავია, რომ ბირთვული (ზმნური) ლექსემის და შესატყვისი სუპერ-პარადიგმის არჩევა გარკვეულ, ზოგჯერ საკმაოდ ძლიერ, გავლენას ახდენს ლექსიკურ რეგულაციაზე. მაგალითად: "შენების" (AG) შემთხვევაში ამ პროცესების "ნორმალურ" (და არა "ზღაპრულ") სიტუაციაში წამყვანი ძალა უნდა იყოს წარმოდგენილი ლექსემით, რომელიც "პიროვნების" ან "პიროვნებათა რაღაც სიმრავლეს (მუშების ბრიგადა, დაწესებულება, ფირმა ...) ასახავს.

ასევე, და უფრო მკაცრადაც, შეზღუდულია OB-ის ლექსემის არჩევა: ეს უნდა იყოს ლექსემა "შენობა", როგორც "დომინანტით" წარმოდგენილი კვაზი-სინონიმური მწკრივის ერთ-ერთი წევრი:

შენობა: სახლი, სასახლე, ტაძარი, ციხე-სიმაგრე, ვილა, აგარაკი, ქოხი, მიწური, ჯიხური და სხვა.

ცხადია, რომ მწკრივის წევრებით ასახული "ნაგებობები" სხვადასხვა ნიშნით ხასიათდება: მასალით, აგებულებით, დანიშნულებით. თუმცა ყველა მათგანი წარმოადგენს "შენობას", ანუ მის კვაზი-სინონიმს - "ნაგებობას".

უმრავლეს შემთხვევაში AG-ის მსგავსად AD-იც წარმოდგენილი უნდა იყოს პიროვნებით ან პიროვნებათა (ორგანიზებული) სიმრავლით (სკოლა, რესტორანი, პარლამენტი, ...). თუმცა გამორიცხული არ არის AD-ის გამოხატვა მშენებარე ან უკვე აშენებული შენობის მომავალი დანიშნულების თანახმად: საცხოვრებლად, გასაქირავებლად, გასაყიდად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "დანიშნულების" ნიუანსი ახასიათებს ზემოთ ნახსენებ "პიროვნებებით ორგანიზებულ სიმრავლეებსაც": სკოლა (სწავლება), პარლამენტი (სხდომები), რესტორანი (კლიენტების მიღება, მოგება), ...

დანიშნულება შეიძლება დახასიათდეს "უშუალოდ" მშენებარე ობიექტით (OB): ტაძარი (ლოცვა, გალობა), ჯიხური/სუპერმარკეტი (ვაჭრობა) და ა.შ.

ჩვეულებრივად, "კაუზატორის" (CS) როლი აგრეთვე "ეკისრება" პიროვნებებს, თუმცა მათ, ზოგ შემთხვევაში, ენაცვლება რაღაც სიტუაცია, რომელიც ძირითადი პროცესის გაჩენის მიზეზია (გაჭირვებამ/უსახლკარობამ/სიმდიდრემ/... ააშენებინა მას სახლი/სასახლე). ამ შემთხვევაში ასეთ მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს ვიღაცის დადებითი ან უარყოფითი თვისებებით გამოწვეული რაღაც ემოციური განწყობაც. მაგალითად, (მისმა სილამაზემ და სიკეთემ/ბორო-

ტებამ და თაღლითობამ ჩამადენინა ეს სიკეთე/ბოროტება).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ CS-ის ეს ლექსიკური დახასიათება უფრო ზოგადია, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ადრე განხილული სემანტიკური როლების (AG, OB, AD) შემთხვევაში, რომლებიც ბირთვული ზმნის სპეციფიკას უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან.

ეს დამოკიდებულება ზმნის სემანტიკაზე განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება ობიექტის ლექსიკურ რეალიზაციაში, რომელიც ამ, და ზოგი სხვა, კერძოდ, ფორმალური ნიშნების გამო, შეიძლება ჩაითვალოს ზმნით გამოხატული სიტუაციის ცენტრალურ, მთავარ მონაწილედ:

აშენებენ შენობებს/ნაგებობებს,

მაგრამ

რეცხავენ ტანსაცმელს/თეთრეულს;

წერენ/კითხულობენ ტექსტს (წერილს, ბარათს, წიგნს, საბუთს და ა.შ.);

თიბავენ ბალახს;

ჭამენ/სვამენ კერძს/სასმელს და ა.შ.

თუმცა, ყოველ ამ მაგალითში AG-იც უნდა იყოს „მდგრადად" წარმოდგენილი „პიროვნებ(ებ)ით", მაგრამ არსებობს კონტექსტები, სადაც AG-ის როლი სრულდება სხვაგვარ მონაწილეთა მიერაც:

შენობა დაანგრია მიწისძვრამ/ქარიშხალმა/წყალდიდობამ/ხანძარმა/ ... ;

მომხიბლა მისმა სილამაზემ, ნიჭმა, ეშხმა, ... ;

სწორმა გადაწყვეტილებამ/მიდგომამ/ღონისძიებამ აღადგინა/დაამყარა წესრიგი და მშვიდობა;

კორუფციამ/ქურდობამ/თაღლითობამ/უყურადღებობამ გაგვაღატაკა და გაგვაუბედურა;

(ამ) დანამ კარგად/ვერ) დაჭრა ხორცი და ა.შ.

ამ მაგალითებში AG-ის როლს პიროვნების ნაცვლად ასრულებს ხან რაღაც მოვლენა (ბუნებრივი თუ სოციალური), ხან პიროვნების რაღაც თვისება, მახასიათებელი (სილამაზე/ სიკეთე/თაღლითობა/ ...), ხან კი რომელიმე მატერიალური ინსტრუმენტი (დანა). თუმცა ყველა ამ მეტაფორული ვარიანტის „უკან" მაინც დგას პიროვნება, რომლისგანაც ხდება მისი მახასიათებლების ან ქცევის აბსტრაგირება და ამ აბსტრაქციას ენა აგენსის (AG) სტატუსს ანიჭებს (მეტაფორულად). გამონაკლისია მხოლოდ ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა, ქარიშ-ხალი), მაგრამ აქაც გამორიცხული არ არის, რომ ენა პიროვნების ცნების აბსტრაქციას ახდენს და ავრცელებს მას ზებუნებრივ, ანუ ზეპიროვნულ არსებებზე (კეთილ ან ბოროტ ღმერთებზე).

ენობრივ ფორმაში ასახული ენობრივი ინტერპრეტაციის თანახმად, ეს ერთეულები პროცე-სის წარმომქმნელ და წამყვან ძალას გამოხატავენ. კაუზაციისაგან განსხვავებით, AG-ს ამ პროცესთან უშუალო შეხება აქვს: CS-ი მართავს სიტუაციას უფრო გარედან, AG-ი კი უშუალოდ „ჩართულია" მასში, რის შედეგადაც მისი ლექსიკის არჩევა უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნაში ასახული სიტუაციის ხასიათთან.

ცენტრალური სტრუქტურის ბირთვისთვის ლექსიკის არჩევას რომ მივუბრუნდეთ, ანუ ზმნისთვის (V) და მასზე მჭიდროდ დამოკიდებული OB-როლისთვის და, OB-ზე ნაკლებად, მაგრამ მაინც მასთან გარკვეულწილად კორელირებული AG-ისთვის, ზემოთ მოხსენებული კვაზი-სინონიმური მწკრივები წარმოადგენენ, თუმცა მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც არასაკმარის საშუალებას არჩევის ამ პროცესის მოსაწესრიგებლად.

კერძოდ, ამ საშუალებების გასაძლიერებლად შეიძლება მივმართოთ ზოგ ლექსიკურ ფუნქციას (Мельчук 1974), პირველ რიგში ისეთს, როგორიცაა Gener („ზოგადი") და Mult („სიმრავლე").

სწორედ Gener-ზე დაყრდნობით შეიძლება შევეცადოთ სემანიკური როლის აგებას, რომელიც მოაწესრიგებს და გაამარტივებს ლექსიკის არჩევის პროცესს. ამ მიზანს შეიძლება მოემსახუროს Gener-ის ცნებაზე აგებული იერარქიული სქემა.

სავარაუდო სქემის დასახასიათებლად შემოვიფარგლებით რამდენიმე მაგალითით.

გამონათქვამში ცენტრალური სტრუქტურის ბირთვი წარმოდგენილი იყო ზმნური ლექსემით „შენება", რომელიც რეგულარულ სუპერ-პარადიგმას ქმნის:

აშენებს → ააშენა → აშენდა.

ამ ერთეულის სემანტიკის ყველაზე მაღალი დონის განზოგადებად შეიძლება ჩაითვალოს - „პროცესი".

რეგულარული სუპერ-პარადიგმებით გამოხატული პროცესების არსი კი მდგომარეობს რომელიმე ობიექტის (OB) რაიმე გარდაქმნაში, მის გამოყენებაში, შექმნაში ან პირიქით - „ამოწურვაში" (გაკეთება, შეკეთება, რეცხვა, გასუფთავება, ჭამა, სმა, ...). აშკარაა, რომ "შენება" სწორედ „შექმნის/წარმოქმნის" განშტოებას უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა ამ ტიპის პროცესებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმოქმნილი ობიექტის ხასიათით, სახელდობრ, ეს შედეგი ბუნებრივ „ქმნილებას" (ხის დარგვა, ბალახის მოთიბვა, მშობიარობა, მოსავლის მოყვანა, ლეკვების/კნუტების დაყრა, ...), თუ „ხელოვნურ" პროდუქტს, ანუ „არტეფაქტს", რომელიც ამ ბოლო შემთხვევაშიც შეიძლება იყოს „მატერიალური" (სკამი, მანქანა, ონკანი, სახლი, ...). თუ „იდეალური", „განყენებული", „სულიერი" (ლექსი, მოთხრობა, სიმღერა, ცეკვა, სიმფონია, ...) რა თქმა უნდა „შენობა" და შესაბამისად მისი გაჩენის პროცესი - „შენება" განეკუთვნება პირველ, ანუ „მატერიალურ" სახეობას.

ამგვარად ჩვენი "საცდელი" ლექსემა "შენება" შეიძლება დაექვემდებაროს გაზოგადების შემდეგ სქემას:

პროცესი → ობიექტის (B) გარდაქმნა →

→ ობიექტის შექმნა, გაჩენა →

→ მატერიალური შედეგი →

→ "შენობა";

ეს უკანასკნელი პუნქტი კი წარმოდგენილია იმ (კვაზი-)სინონიმური მწკრივის დომინანტით ("შენება"), რომელიც მოხსენიებული იყო ნაშრომის დასაწყისში: **ააშენა, ააგო, აღმართა.**

ამგვარად, ლექსემის არჩევის პროცესი შეიძლება აეწყოს ასეთი Gener იერარქიული სქემის თანახმად და დასრულდეს (კვაზი-)სინონიმური მწკრივის იმ წევრის არჩევით, რომლის მახასიათებლები საუკეთესოდ გამოხატავენ აზროვნების პირვანდელ განზრახვას.

სქემის ზოგ ეტაპზე შეიძლება გაჩნდეს Mult ფუნქციის გამოყენების შესაძლებლობაც (მაგალითად, ცხოველთა ჯგუფის აღსანიშნად: ხროვა, ფარა, რემა, ჯოგი, ...).

სქემების მეშვეობით უნდა განხორციელდეს და ეკონომიური გახდეს მნიშვნელოვანი პროცესი, რომელსაც ჰუმბოლდტი ახასიათებს როგორც აზროვნების შედეგის "ენის ჭურჭელში ჩასმას".

ამ სქემებით ენა სთავაზობს აზროვნების იმ "ჭურჭელს", რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება მის ჩანაფიქრს და უადვილებს ამ "ჭურჭლის" კერძო ერთეულების სწორ არჩევანს.

ენობრივი "ჭურჭლის" ფუნქციას ამ მიდგომის ფარგლებში ასრულებენ სემანტიკური როლები, რომლებშიც აზროვნება გამონათქვამის დასასრულებლად უნდა შედგეს სათანადო ლექსემებით, იმისთვის რომ სრულიად გამოხატოს თავისი პირვანდელი ჩანაფიქრი.

ლიტერატურა:

1. Fillmore 1968. The Case for Case. In "Universals of Linguistic Theory", Edited by Emmon Bach and Robert T. Harris, University of Texas at Austin.
2. Г. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления Арчила Элиашвили, Редактор Б.Л. Имнадзе. Тбилиси, 2010 (Монография 27 печ. л.).
3. Ю. Апресян 1995. Лексическая семантика. Синонимические средства языка. Избранные труды, том. 1. Школа «Языки русской культуры», изд. «Восточная литература» РАН.
4. G. Chikoidze. The regular type of Georgian Verbal Super-Paradigm. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol.6, no.3, pp. 145-153, Tbilisi, 2012.
5. И. Мельчук 1974. Опыт теории лингвистических моделей "Смысл↔Текст". изд. "Наука", Москва.

Г.Г. Чикоидзе

Лексическое заполнение семантических ролей

Резюме

Работа посвящена рассмотрению возможной схемы организующей и упорядочивающей выбор лексем заполняющих центральную ролевую структуру грузинского предложения.

Предложенная здесь схема опирается на понятия семантических ролей и лексических функций.